# საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
# საგადასახადო დეპარტამენტი

## ქ. თბილისის
## საგადასახადო ინსპექცია

„6“ იანვარი 2006 წელი

ბრძანება № 2286/007-7/4-2093-ჯბ

შპს „ტელეკომპანია მზე“-ს
რეგისტრაციის მონაცემებში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ 5.6 მუხლის „ცვლილებებისა და ლიკვიდაციის რეგისტრაცია“ და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 10 აგვისტოს №127 დადგენილების მე-6 მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ:

განხორციელდეს ცვლილება შპს „ტელეკომპანია მზე“-ს სამეწარმეო რეესტრში, რომელიც რეგისტრირებულია თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 16 ივლისის №7/4-2093 დადგენილებით

გატარდეს სამეწარმეო რეესტრში ცვლილებების შემდეგი მონაცემები:

კერძოდ, საზოგადოების პარტნიორის, **შპს. „საქცემენტი“-ს** (რეგისტრირებული თეთრიწყაროს რაიონის სასამართლოს 2004 წლის 20 მაისის №36/4-113 დადგენილებით; მდებარე: თეთრიწყარო, დაბა მანგლისი, სტალინის ქ. 66; წარმოადგენს დირექტორი რომან წიკლაური; ინჟინერი; დაბ: 29.11.1952 წელს თეთრიწყაროს რაიონი დაბა მანგლისი, მცხ: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა 4, ბინა 6; პ/მ №ბ0256147, პ№220010041) მიერ მოხდა კუთვნილი წილის ნაწილის 78 %-ს გასხვისება **ქიბარ ხალვაშის** (ინჟინერი; დაბ: 20.05.1963 წელს ქობულეთში; მცხ: თბილისი, აბაშელის ქუჩა №19; პ/მ №გ0333837, პ№61002000543) სასარგებლოდ;

ამდენად, საზოგადოების პარტნიორები არიან:

1. **ქიბარ ხალვაში** – მისი წილი საწესდებო კაპიტალში შეადგენს **78** %-ს;
2. **შპს. „საქცემენტი“** – მისი წილი საწესდებო კაპიტალში შეადგენს **15** %-ს;
3. **გელა კობაიძე** (ეკონომისტი; დაბ: 25.02.1967 წელს; მცხ: თბილისი, კოჯრის 12 ბ; პ/მ №გ0182838, პ№01017012232) – მისი წილი საწესდებო კაპიტალში შეადგენს 7 %-ს;

სამართლებრივი ურთიერთობა: 1. შპს „ტელეკომპანია მზე“-ს პარტნიორთა კრების ოქმი; 26.12.2005 წელი; 2. შპს „საქცემენტი“-ს დამფუძნებლის გადაწყვეტილება; 26.12.2005 წელი; 3. წილის ნაწილის ნასყიდობის ხელშეკრულება; 26.12.2005 წელი;

დაევალოს საგადასახადო ინსპექციის მომსახურების სამმართველოს ისანი-სამგორის და მთაწმინდა-კრწანისის განყოფილების უფროსს ი.ბიბილაშვილს უზრუნველყოს შესაბამისი ცვლილებების მონაცემების სამეწარმეო რეესტრში შეტანა და გაიცეს საწარმოზე სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი ცვლილებების შეტანის შესახებ.

ინსპექციის უფროსი
(მოადგილე)

შემსრულებელი

2286

ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო
დეპარტამენტის ქ. თბილისის საგადასახადო
ინსპექციის უფროსს ბატონ ი. კალანდაძეს

გადამხდელთა მომსახურების სამმართველოს
ისანი–სამგორის და მთაწმინდა–კრწანისის
განყოფილების უფროსის ი.ბიბილაშვილის

## მოხსენებით ბარათი

წარმოგიდგენთ [illegible] დირექტორის 2006 წლის 04. 01 განცხადებას სამეწარმეო რეესტრში ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებით რეგისტრაციაში გასატარებლად. განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი დოკუმენტაცია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისობაშია და ექვემდებარება რეესტრში რეგისტრაციას.

გთხოვთ თქვენს ბრძანებას.

გადამხდელთა მომსახურების სამმართველოს
ისანი–სამგორის და მთაწმინდა–კრწანისის
განყოფილების უფროსი ი.ბიბილაშვილი

საქართველო
ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექცია
« 01 » 20 წ.
№ 66